საქართველოს რესპუბლიკა





ხუთშაბათი, 7 იანვარი, 2010 წელი

№3



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, საქართველოში კიბერნეტიკის მეცნიერების ფუძემდებელი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დამაარსებელი, აკადემიკოსი –

ვლადიმერ ვალერიანის-ძე ჭავჭანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ახლობლებსა და საქართველოს მთელ სამეცნიერო საზოგადოებას.

ვლადიმერ ჭავჭანიძე

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, აგრეთვე ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის, საქართველოს ბუნებისმეტყველების აკადემიისა და ეკოლოგიის აკადემიის ნამდვილი წევრი, საერთაშორისო ჟურნალ "Kybernetes"-ს სარედაქციო საბჭოს წევრი, სამეცნიერო ჟურნალ "მეცნიერება და ტექნოლოგიები"-ს მთავარი რედაქტორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედკოლეგიის წევრი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, ღვაწლმოსილი პიროვნება ვლადიმერ ვალერიანის-ძე ჭავჭანიძე.

უნდა აღინიშნოს, რომ კიბერნეტიკის პროფილის ინსტიტუტი სახელწოდებით "კიბერნეტიკის ინსტიტუტი" პირველად გაიხსნა საქართველოში ვლადიმერ ჭავჭანიძის შესაშური ინიციატივით.

ვლადიმერ ჭავჭანიძე დაიბადა 1920 წლის 22 სექტემბერს ქალაქ სოხუმში, ინჟინრის ოჯახში. 1936-1941 წელებში ის სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1947-49 წლებში იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის (ФИАН) ასპირანტი. 1950-1960 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში: ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად და განყოფილების გამგედ.

1960 წლის 22 სექტემბერს ვლადიმერ ჭავჭანიძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი. დირექტორად დაინიშნა ვლადიმერ ჭავჭანიძე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა ორ ათეულ წელზე მეტი. მისი თაოსნობით კიბერნეტიკის ინსტიტუტმა მოიპოვა წამყვანი ადგილი არამარტო საბჭოთა კავშირის, არამედ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში, რისი დასტურიც იყო თბილისში ჩატარებული მე-4 საერთაშორისო კონფერენცია ხელოვნურ ინტელექტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ყველა წამყვანმა სამეცნიერო სკოლის მეცნიერმა (იაპონია, აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ბელგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვ.).

1967 წელს ვლადიმერ ჭავჭანიძის მეცადინეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ფიზიკური კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორია, რომელიც საფუძვლად დაედო კიბერნეტიკის ფაკულტეტის გახსნას 1969 წელს. სამი ათეული წლის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ამ ფაკულტეტის თეორიული კიბერნეტიკის კათედრას. ამ სკოლამ საფუძველი ჩაუყარა კომპიუტერულ მეცნიერებას ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ბოლო დრომდე იგი ხელმძღვანელობდა ა.ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილებას.

ვლადიმერ ჭავჭანიძეს გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, არის 20-ზე მეტი გამოგონებისა და მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის «Проблемы Управления интеллектуальной деятельностю» (1974 წელი).

მის მიერ აღიზარდა არაერთი მეცნიერი და პედაგოგი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

აკადემიკოსი ვლადიმერ ჭავჭანიძე არის არაერთი პრემიის ლაურიატი, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოს პ.მელიქიშვილის სახელობის პრემიის მფლობელი.

ვლადიმერ ჭავჭანიძე 1941 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მან დაჰყო 1946 წლამდე, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში – იბრძოდა რუმინეთში, უნგრეთში, სლოვაკიაში. სამხედრო სამსახური დაასრულა მანჯურიაში. დაჯილდოვებულია არაერთი საბრძოლო ორდენითა და მედლით, მათ შორის საბრძოლო წითელი დროშის ორდენით.

ვლადიმერ ჭავჭანიძის საყვარელი გამოთქმაა: “მე მჯერა, რომ მეცნიერება ძირითადი მამოძრავებელი ძალაა ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყოველგვარი ინოვაციები ბოლოს და ბოლოს მეცნიერულ შედეგებს ეყრდნობა. საზოგადობის წინსვლა ეკონომიკური თვალსაზრისით მხოლოდ და მხოლოდ იმ ინფორმაციას ეყრდნობა, რომელსაც ქმნიან მეცნიერებანი და ტექნოლოგიები... მეცნიერების გარეშე სამყარო შეუცნობელია”.

ვლადიმერ ჭავჭანიძე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, მან დატოვა მეცნიერთა შესანიშნავი სკოლა, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ მასწავლებელსა და აღმზრდელს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია